

შპს კეონი აკადემია

პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის, პროგრამაზე ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის მართვის და ხარისხის უზრუნველყოფი წესი

2022

სარჩევი

მუხლი 1.ზოგადი დებულებები -----4

თავი I. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება, განხორციელების უფლების მოპოვება და პროგრამებში ცვლილებების შეტანა -----4

მუხლი 1. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება -----4

მუხლი 2 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება -----7

მუხლი 3 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილებების შეტანა -----9

თავი II პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება

მუხლი 1 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადება -----10

მუხლი 2 აპლიკანტთა რეგისტრაცია -----12

მუხლი 3 აპლიკანტთა შერჩევა -----12

მუხლი 4 შერჩევაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება მოვალეობები -----13

მუხლი 5 მსმენელის სტატუსის მოპოვება/შეჩერება და შეწყვეტა -----13

მუხლი 6 სწავლის საფასური -----15

მუხლი 7 მსმენელის პირადი საქმე -----15

მუხლი 8 აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი -----16

მუხლი 9 სასწავლო პროცესის ადმინისტრირება -----16

მუხლი 10 სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმი -----16

მუხლი 11 მსმენელის მიღწევების შეფასება და შეფასების გასაჩივრება -----18

მუხლი 12 შეფასების სისტემა და შეფასების ინსტრუმენტები -----19

მუხლი 13 შეფასების სისტემის ვერიფიკაცია -----21

მუხლი 14 შეფასების პროცესის ადმინისტრირება -----	22
მუხლი 15 შეფასების უწყისი -----	22
მუხლი 16 მსმენლის უფლება -მოვალეობები -----	23
მუხლი 17 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელების სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა -----	25
მუხლი 18 სერთიფიკატის გაცემა -----	26
მუხლი 19 პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შრომითი ურთიერთობა -----	27
მუხლი 20 სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალა/ ნედლეულის შექმნა, შენახვა და გამოყენება -----	28
მუხლი 21 ტექნოლოგიური/სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვა-----	28
მუხლი 22 დაწესებულების მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია -----	28
თავი III პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.	
მუხლი 1 მიდგომები ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისადმი -----	29
მუხლი 2 ხარისხის შეფასების ციკლის ეტაპები -----	29
მუხლი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, სწავლების ხარისხის და მომზადება/გადამზადების პროგრამების შეფასება-----	30
მუხლი 2. დასკვნითი დებულებები -----	31
დანართი 1. შეფასების კრიტერიუმები -----	31
დანართი 2 . კომისიის მიერ აპლიკანტის შეფასების ფორმა-----	33
დანართი 3. საგაკვეთილო პროცესზე დასწრების კითხვარი -----	34
დანართი 4 კითხვარი მსმენელი -----	35
დანართი 5 კითხვარი პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი -----	44
დანართი 6 კითხვარი კურსდამთავრებული -----	52
დანართი 7 კითხვარი დამსაქმებელი -----	63

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს კეონი აკადემიაში (შემდგომში აკადემია) პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების (შემდგომში პროგრამა) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის, აპლიკანტთა ჩარიცხვის, სასწავლო პროცესის მართვის და ხარისხის უზრუნველყოფის წესსა და პროცედურებს.

1.2 წინამდებარე წესი შემუშავებულია: „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/5 ბრძანების, „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N10/5 ბრძანების, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის დადგენილების საფუძველზე.

თავი I. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება, განხორციელების უფლების მოპოვება და პროგრამებში ცვლილებების შეტანა

მუხლი 1. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება

1.1 პროფესიული მომზადების პროგრამა არის პროგრამა, რომელიც პირს ამზადებს პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 /მე-3 /მე-4 /მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

1.2 პროფესიული გადამზადების პროგრამა არის პროგრამა, რომლის მიზანია კომპეტენციების შექმნა ან/და განვითარება იმავე სფეროში პროფესიული საქმიანობის განსახორციელებლად. პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები შეიძლება შეესაბამებოდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 /მე-3 /მე-4 /მე-5 დონეს, რომელთან შესაბამისობაც დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

1.3 პროფესიული მომზადების პროგრამის და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზანს წარმოადგენს ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატის გაცემა.

1.4 პროგრამა/პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მიზანს და გაცხადებულ პრიორიტეტებს და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების - მსმენელების, განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და სხვა პირების საჭიროებების ანალიზს.

1.5 პროგრამის შემუშავების ინიცირება ხდება დაინტერესებული პირის მიერ;

1.6 დაინტერესებული პირი შესაძლოა იყოს დაწესებულების/ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა. დაინტერესებულმა პირმა შესაძლებელია წარმოადგინოს აკადემიის დირექტორის სახელზე არგუმენტირებული მოხსენებითი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ ან მოხდეს ზეპირსიტყვიერი შეთანხმება/დათქმა. მოხსენებითი ბარათში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა ჩანდეს რის საფუძველზე ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება;

1.7 დირექტორი განიხილავს აღნიშნულს მოხსენებით ბარათს (არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოცემს შესაბამის ბრძანებას კონკრეტული პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ, სადაც განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები;

1.8 იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი თვითონ არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის/საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის/შემუშავების ინიციატორი, იგი პირდაპირ გამოცემს ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ჯგუფის შექმნის შესახებ, სადაც განისაზღვრება: ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები;

1.9 პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ:

1.9.1 პროგრამის ინიციატორი;

1.9.2 აკადემიის დირექტორი;

1.9.3 ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

1.9.4 სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;

1.9.5 პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი;

1.9.6 პროფესიული განათლების მასწავლებლები;

1.9.7 პრაქტიკის მენეჯერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.9.8 დამსაქმებლები;

1.9.9 დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები(პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები);

1.19. 10 ბიბლიოთეკარი;

1.19.11 ბუღალტერი;

1.9.12 პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები;

1.9.13 დარგის ექსპერტები;

1.9.14 და სხვა.

1.10 პროგრამის საჭიროების დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს:

1.11 არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით. არგუმენტაცია შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევა, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.);

1.12 დაწესებულება აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი საქმიანობის ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში;

1.13 პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან სოციალურ ინტეგრაციას, რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;

1.14 სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს არგუმენტებად ახალი პროგრამის შემუშავებისათვის.

1.15 პროგრამის შემუშავების ინიცირების შემთხვევაში წარმოდგენილი მასალები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: დასაქმების ბაზრის კვლევას, კურსდამთავრებულთა (არსებობის შემთხვევაში) დასაქმების მაჩვენებელს; მონაცემებს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო და ადამიანური რესურსების შესახებ.

1.16 სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ბრძანებით დადგენილ ვადაში, დაწესებულების დირექტორს განსახილველად/დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის (მომზადება/გადამზადების)პროექტ(ებ)ს;

1.17 პროგრამის შემუშავებისას პროგრამების შემუშავების/ადაპტირების ჯგუფი უფლებამოსილია დაეყრდნოს პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით განსაზღვრულ ერთ-ერთ შემდეგ საფუძველს:

1.18.1 პროფესიის სტანდარტს;

1.18.2 პროფესიულ-საგანმანათლებლო სტანდარტს;

1.18.3 მოდულს/მოდულებს;

1.18.4 საქართველოს კანონმდებლობით ან/და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან/და სხვა საერთაშორისო აქტებით კონკრეტული სფეროს რეგულირებისთვის დადგენილ მოთხოვნებს;

1.18.5 დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორს, რომელიც განაზღვრულია ISCO-08-ს სტანდარტით ან/და საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ (იურიდიული პირი აღნიშნულ კლასიფიკატორებში ახდენს იმ პროფესიის/პროფესიების იდენტიფიცირებას, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის/პროგრამების შინაარსთან.)

1.18.6 პროგრამის შემუშავების საფუძველი ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საფუძვლების გარდა შესაძლებელია გახდეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამის შინაარსის განსაზღვრისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

1.18.7 პროგრამის შინაარსი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის N59/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის დანართის შესაბამისად.

1.18.8 თუ დაწესებულებას სურს მომზადება და გადამზადების პროგრამის განხორციელება დამატებითი უფლების მოპოვების გარეშე, ამ შემთხვევაში, დაწესებულებაში ავტორიზებული პროგრამის ფარგლებში ჩართულ პერსონალთან/დარგის წარმომადგენლებთან კონსულტაციით მზადდება შესაბამისი მომზადება/გადამზადების პროგრამები და დადასტურება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

1.18.9 მომზადების / გადამზადების პროგრამებს ამტკიცებს აკადემიის დირექტორი ბრძანებით.

მუხლი 2. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება

2.1 პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტი (შემდგომში – სტანდარტი) არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აკადემია ფორმალური განათლების ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისას და სახელმწიფოს მიერ აღიარებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – სერტიფიკატის გასაცემად.

2.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სტანდარტები ეხება:

2.2.1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამას;

2.2.2. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს;

2.2.3. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ადმინისტრირებას.

2.3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება აკადემიას ენიჭება 3 წლის ვადით.

2.4 აკადემია პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოსაპოვებლად, აკეთებს ელექტრონულ განაცხადს ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

2.5 განაცხადი უნდა შეიცავდეს:

2.5.1 აკადემიის სახელწოდებასა და სამართლებრივ ფორმას;

2.5.2 აკადემიის საიდენტიფიკაციო კოდს;

2.5.3. აკადემიის მისამართსა (იურიდიული და ფაქტობრივი) და საკონტაქტო ინფორმაციას (ტელეფონი და ელ. ფოსტის მისამართი);

2.5.4. აკადემიის საქმიანობის სფეროს, რომელიც განისაზღვრება ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისად;

2.5.5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდებას (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და პროგრამის სახეს (პროფესიული მომზადების პროგრამა/პროფესიული გადამზადების პროგრამა);

2.5.6. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ ფორმას, რომელზეც შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერას/კვალიფიციური ელექტრონული შტამს

2.5.7. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილს;

2.5.8. მსმენელთა რაოდენობას (მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთებით);

2.5.9. ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსისა (განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი თანამშრომლობასთან დაკავშირებით არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით გაფორმებული ხელშეკრულება,შეთანხმება) და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

2.5.10. ინფორმაციას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი სასწავლო რესურსის შესახებ;

2.5.11. ინფორმაციას მსმენლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, აგრეთვე, უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემულ დასკვნას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ანუ უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ გაცემულ მიწერილობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფრხვრაზე

2.5.12. დასაბუთებას პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ(პროგრამის დამატებითი უფლებით მოპოვების შემთხვევაში);

2.5.13. ინფორმაციას მსმენლის შერჩევისა და პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურის შესახებ;

2.5.14. ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ(პროგრამის დამატებითი უფლებით მოპოვების შემთხვევაში);

2.5.15. განაცხადს უნდა დაერთოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 3. პროფესიული მომზადების პროგრამასა და პროფესიული გადამზადების პროგრამაში ცვლილებების შეტანა

3.1.აკადემია ვალდებულია ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს:

ა) პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული მეწარმე სუბიექტის ან სახელმწიფო ორგანოს ცვლილება ან დამატება და წარადგინოს ახალ პარტნიორ/იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანამშრომლობის ფორმატის შესახებ;

ბ) პროგრამის განმახორციელებელი პირის/პირების ცვლილება და წარადგინოს მათი განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მათთან გაფორმებული ხელშეკრულება;

გ) პროგრამის სახელწოდების, მოცულობის, განხორციელების ადგილის ან სწავლის შედეგის/შედეგების ცვლილება და წარადგინოს განახლებული პროგრამა.

3.2 აკადემია უფლებამოსილია, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან იმ კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც მომზადებულია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლა. აღნიშნულ პროგრამაზე აკადემია ვეღარ მიიღებს ახალ მსმენელებს.

3.2 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში, აკადემია პროგრამაზე შემდეგი მიღების გამოცხადებამდე ვალდებულია, უზრუნველყოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შეცვლილ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობა. აკადემია უფლებამოსილია, მსმენელებს სწავლა დაასრულებინოს იმ პროგრამაზე, რომელზეც ისინი ჩაირიცხნენ, ხოლო ახალი მსმენელები მიიღოს შეცვლილ პროგრამაზე.

3.4 თუ აკადემია დაკარგავს პროგრამის განხორციელების უფლებას, უფლებამოსილია, უკვე ჩარიცხულ მსმენელებს დაასრულებინოს სწავლება არსებული პროგრამით.

3.5 ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების/ცვლილებების შემთხვევაში, აკადემია ვალდებულია, ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს ცვლილების შესახებ მსმენელთა ახალი ნაკადის მიღების გამოცხადებამდე 30 სამუშაო დღით ადრე.

თავი II პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება

მუხლი 1. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მიღების გამოცხადება

1.1 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

1.2 კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ აკადემიას უფლება აქვს ამ პროგრამაზე გამოაცხადოს რეგისტრაცია ღია ან დახურული წესით.

1.3 ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

1.4 დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება. დახურული წესით რეგისტრაციის დროს აპლიკანტთა დარეგისტრირებისას აკადემია ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში ატვირთოს იურიდიულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება.

1.5 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში აკადემიის მიერ მიეთითება:

- ა) იურიდიული პირის სახელწოდება/ სამართლებრივი ფორმა/საიდენტიფიკაციო კოდი;
- ბ) იურიდიული პირის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
- გ) იურიდიული პირის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);
- დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;
- ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე (მომზადება/გადამზადება);

- ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;
- ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვ.);
- თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოკლე აღწერა;
- ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი;
- კ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე;
- ლ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3/მე-4/მე-5);
- მ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;
- ნ) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები, რომელიც ყოველი მიღებისას განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით (რეგისტრაციის დაწყების/დასრულების თარიღი წინ უნდა უსწრებდეს სწავლის დაწყების თარიღს);
- ო) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
- პ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
- ჟ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური;
- რ) ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების შესახებ;
- ს) მართვის სისტემის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

1.6 ამ მუხლის 1.5 პუნქტის „ა“-„მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ავტომატურად გენერირდება ელექტრონულ სისტემაში აკადემიის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადებისას. ამ მუხლის 1.5 პუნქტის „ნ“-„ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში შეყვანას უზრუნველყოფს რეესტრზე პაუზისმგებელი პირი.

1.7 აკადემია უფლებამოსილია შეცვალოს ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე (ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის ან/და ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით).

მუხლი 2. აპლიკანტთა რეგისტრაცია

2.1 აკადემიის მიერ აპლიკანტთა რეგისტრაციისას ღია წესით გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის 1.5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაციის შემთხვევაში ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის 1.5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ამ წესის 1.4 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის.

2.2 აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისთვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებ გვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართვს აკადემიას რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

2.3 რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტი პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს აკადემიის ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

2.4 აპლიკანტს ან აკადემიის წარმომადგენელს რეგისტრაციის დროს ელექტრონულ სისტემაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

- ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;
- ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;
- დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;
- ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ვ) ინფორმაცია შერჩეული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ;

მუხლი 3 აპლიკანტთა შერჩევა

3.1 აპლიკანტთა შერჩევის დროს (ღია წესით რეგისტრაციის შემთხვევაში) შერჩევის ფორმად განისაზღვრება გასაუბრება.

3.2 პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების ხორციელდება შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად (იხ. დანართი 1)

3.3 მაქსიმალური საკონკურსო ქულაა 12, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 4 ქულა. აღნიშნული არ ეხება შშმ /სსსმ პირებს რომლებიც პროგრამაზე ჩაირიცხებიან უკონკურსოდ არსებული ქვოტის ფარგლებში, რეგისტრაციის დროის გათვალისწინებით.

3.4 აკადემია შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწოდებს შერჩევის პროცედურის შესახებ ინფორმაციას ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით. ინფორმაცია ასევე ქვეყნდება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

3.5 საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

3.6 საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომელთა შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრ(ებ)ი და მდივანი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედის პარტნიორი კომპანიის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი.

3.7 გასაუბრება ტარდება აკადემიაში. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

3.8 კომისიის მიერ აპლიკანტთა შეფასების შედეგები აისახება აპლიკანტთა შეფასების ფორმაში (დანართი 2) და შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში. ასევე დგება პროგრამაზე ჩასარიცხ აპლიკანტთა სია.

3.9 პროგრამაზე ჩასარიცხ აპლიკანტთა სია წარედგინება აკადემიის დირექტორს რომელიც გამოსცემს ბრძანებას სიაში წარმოდგენილი პირების პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ (მსმენელის სტატუსის მინიჭება).

3.10 შერჩევის პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აკადემია ელექტრონული სისტემის მეშვეობით უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას და აღნიშნულის თაობაზე აპლიკანტთა ინფორმირებას ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.

მუხლი 4 შერჩევაში მონაწილე აპლიკანტთა უფლება-მოვალეობები

4.1 აპლიკანტი უფლებამოსილია:

ა) იცნობდეს კომისიის მიერ მისი შეფასების წესსა და პირობებს;

ბ) ფლობდეს ინფორმაციას პარტნიორი კომპანიის თაობაზე;

4.2 აპლიკანტი ვალდებულია, დროულად გამოცხადდეს გასაუბრებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის გარეშე გამოცხადების შემთხვევაში აპლიკანტი არ დაიშვება აკადემიის მიერ ორგანიზებულ კონკურსზე.

მუხლი 5. მსმენელის სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა

5.1 პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელის სტატუსის მოპოვების ეტაპებია:

5.1.1. აპლიკანტის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რაც გულისხმობს აპლიკანტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას.

5.1.2. წარდგენილი განაცხადების ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას უზრუნველყოფს აკადემიის საქმისმწარმოებელი.

5.1.3. რაიმე შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში აკადემია უკავშირდება აპლიკანტს და აცნობებს ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ;

5.1.4. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია აკადემიის დირექტორის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში აკადემიაში წარადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია;

5.1.5. აპლიკანტს უფლება აქვს წარმოადგინოს დამატებით დოკუმენტი საბუთების მიღების ვადის ამოწურვამდე;

5.1.6 საბუთების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ, დახურული წესით რეგისტრაციის შემთხვევაში, იმ იურიდიული პირის/ადმინისტრაციული ორგანოს რომელთანაც აკადემიას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული მიერ მიწოდებული აპლიკანტთა სია წარედგინება აკადემიის დირექტორს რომელიც გამოსცემს ბრძანებას სიაში წარმოდგენილი პირების პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ (მსმენელის სტატუსის მინიჭება) და მათთან ფორმდება ხელშეკრულება;

5.1.7 საბუთების მიღების ვადის ამოწურვის შემდეგ, ღია წესით რეგისტრაციის შემთხვევაში გასაუბრება გავლილი აპლიკანტების საბოლოო სია წარედგინება აკადემიის დირექტორს რომელიც გამოსცემს ბრძანებას სიაში წარმოდგენილი პირების პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ (მსმენელის სტატუსის მინიჭება) და მათთან ფორმდება ხელშეკრულება;

5.1.8 ინფორმაცია მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ რეესტრზე პასუხისმგებელი პირის მიერ ელექტრონულ სისტემაში აისახება შესაბამის პროფესიულ მომზადების/პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე შერჩევის პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

5.1.9 ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, აკადემია უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში.

5.1.9 ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.1.10 პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხულ აპლიკანტებს შესაძლებელია შეუჩერდეთ ან შეუწყდეთ სტატუსი. მსმენელის სტატუსის შეჩერება არის აკადემიასა და მსმენელის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

5.1.11 მსმენელისათვის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ზუსტად არის იდენტიფიცირებული კონკრეტულ პერიოდში ანალოგიური

პროგრამის/კურსის განხორციელების და მსმენელისათვის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა

5.1.12 მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პროფესიული გადამზადების/პროფესიული მომზადების პროგრამის დასრულება;

გ) გარდაცვალება;

დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;

ე) ყალბი დოკუმენტის წარმოდგენა, რაც გახდა ჩარიცხვის საფუძველი;

ვ) დადგენილ ვადებში ხელშეკრულების გაუფორმებლობა;

ზ) პროგრამის აუთვისებლობა დადგენილ ვადებში (გამოუცხადებლობა ძირითად და დამატებით შეფასებაზე, პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათის ნახევარი და მეტი გაცდენა) ;

თ) დისციპლინური გადაცდომა;

ი) ფინანსური დავალიანება

კ) სტატუსშეწყვეტილმა პირმა, სწავლის სურვილის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა თავიდან უნდა გაიაროს;

5.1.13 კოლეჯი ვალდებულია პირისათვის მსმენელის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების საკითხის დაყენების დროს აცნობოს პირს აღნიშნულის შესახებ, მოისმინოს მისი პოზიცია და მისცეს მას ახსნა-განმარტების წარმოდგენის უფლება.

მუხლი 6. სწავლის საფასური

6.1. პროფესიული გადამზადების/პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური განისაზღვრება აკადემიის მიერ შესაბამისი პროგრამისათვის;

6.2. მსმენელისთვის სწავლის საფასური შესაძლებელია ასევე დაფინანსებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

მუხლი 7 მსმენელის პირადი საქმე

7.1 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე ჩასარიცხად პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა ასლი;

ბ) შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან ცნობა განათლების შესაბამისი საფეხურის დამლევის შესახებ. აპლიკანტმა, რომელმაც

უცხოეთში მიიღო განათლება და პირმა, რომელმაც განათლება მიიღო ოკუპირებულ ტერიტორიებზე, უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ;

გ) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში-დაბადების მოწმობის ასლი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი რომელიც ადასტურებს განმცხადებლის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სათანადო უფლება-მოსილებას.

ვ)დამატებითი დოკუმენტაცია რომელიც განისაზღვრება პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამის სპეციფიკით.

ზ) ჩასარიცხდ წარსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა ყოველი მიღებისას განისაზღვრება აკადემიის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით;

მუხლი 8 ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი

8.1.აპლიკანტი არ ჩარიცხება აკადემიის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე თუ მან სარეგისტრაციო სისტემაში მიუთითა მცდარი ინფორმაცია განათლების მიღწეული დონის შესახებ და დადგინდეს ვადაში არ წარმოადგენს ამ წესის მუხლი 7 -ის 7.1 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

8.2 აპლიკანტი არ ჩარიცხება პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე თუ არ გამოცხადდა გასაუბრების დროს.

მუხლი 9. სასწავლო პროცესის ადმინისტრირება

9.1.პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული მეცადინეობები (პროგრამით გათვალისწინებული კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვის შესაბამისად) ტარდება პროგრამის საფუძველზე შედგენილი სასწავლო ცხრილების/განრიგების შესაბამისად.

9.2 სასწავლო ცხრილები სწავლის დაწყებამდე განთავსდება დაწესებულების საინფორმაციო დაფაზე ან მსმენელებისთვის შექმნილ სპეციალურ ელექტრონულ ჯგუფებში.

მუხლი 10 სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმი

10.1. დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსებობას, აგრეთვე სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას.

10.2 დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელისათვის შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას/ცხრილს, რომლის შესაბამისადაც განხორციელდება სწავლება, სოციალური ადაპტაცია და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაცია.

10.3. ინკლუზიური განათლების დანერგვის მიზნით დაწესებულება დამატებითი ადამიანური და მატერიალური რესურსის უზრუნველყოფის გზით უზრუნველყოფს სსსმ მსმენელთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

10.4. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდაჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას (დაკონტრაქტებას), ასევე სასწავლო რესურსების ადაპტირებას.

13.5. სსსმ მსმენელისათვის დაწესებულება შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროფესიულ მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სსსმ მსმენელისათვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

13.7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სსსმ მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით.

13.8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა/ცხრილი იქმნება სწავლის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში, მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად და წარედგინება აკადემიის დირექტორს (დამოწმდება დაწესებულების ბეჭდით და დირექტორის ხელმოწერით).

13.9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების და სხვა რესურსის საჭიროებების შესახებ წერილობით ინფორმაციას დაწესებულებას წარუდგენს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

13.10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც დაწესებულებაში ივსება (გაცდენები, შეფასებები, დახასიათება დაა.შ.) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აზუსტებს ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს.

13.11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში: მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს მსმენელისათვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული.

მუხლი 11 მსმენელის მიღწევების შეფასებისა და შეფასების გასაჩივრების წესი

11.1 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებში შეფასება გულისხმობს შესაფასებელი პირის მიერ ცოდნის ფლობისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობის შეფასებას, განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით;

11.2 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის მოპოვებისათვის დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამით განსაზღვრული მისაღწევი ყველა სწავლის შედეგი;

11.3 სწავლის შედეგი მიღწეულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა. შესაძლებელია სწავლის შედეგების ცალ-ცალკე ან რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება;

11.4 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამებში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც ორი ტიპისაა:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

11.5 პროგრამით განსაზღვრულ ვადებში უნდა დადასტურდეს ყველა სწავლის შედეგი/შედეგები. აღნიშნულის არ/ვერ დადასტურება ითვლება მსმენელის მიერ პროგრამის აუთვისებლობად.

11.6 პროგრამის სწავლებისას განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში ან შეფასებაზე არგამოცხადების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს განმეორებით, ერთჯერადად დაადასტუროს სწავლის შედეგები პროგრამის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, ამისთვის მსმენელმა განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის დირექტორს.

11.7 სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის განმახორციელებელ პირთან შეთანხმებით, ნიშნავს განმეორებით განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. განმეორებით შეფასებაზე პროფესიული მსმენელის გამოუცხადებლობა ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.

11.8 შესაძლებელია: ა) სწავლის შედეგების შეფასება ჩატარდეს თითოეული სწავლის შედეგის დასრულებისას ბ) შესაძლოა შეფასება განხორციელდეს პროგრამის დასრულებისას;

11.9 მსმენელი უფლებამოსილია გაასაჩივროს როგორც შეფასების პროცესის მიმდინარეობა ასევე მიღებული შეფასება. (აპელაცია).

ა) შეფასების პროცესის მიმდინარეობის გასაჩივრების შემთხვევაში მსმენელმა იმავე დღეს წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის დირექტორს.

ბ) შეფასების შედეგის (შინაარსის) გასაჩივრების შემთხვევაში შედეგის გაცნობიდან მაქსიმუმ 2 სამუშაო დღის ვადაში მსმენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს აკადემიის დირექტორს.

აკადემიის დირექტორი ერთი სამუშაო დღის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე. სააპელაციო კომისიის შედგება მინიმუმ სამი წევრისგან და მის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდნენ: დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროგრამის განმახორციელებელი პირი რომელიც არ მონაწილეობდა მსმენელის შეფასების პროცესში და სხვა.

11.10 კომისია განიხილავს მსმენელის შეფასების საკითხს და შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება მსმენელისთვის განმეორებითი შეფასების დანიშვნის შესახებ ან დატოვოს მსმენელის მიერ მიღებული პირველადი შეფასება ძალაში. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება 2 სამუშაო დღეში ეცნობება მსმენელს ელექტრონული ან/და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით. განმეორებითი შეფასებისას პროგრამის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შეცვალოს სწავლის შედეგის დადასტურების ტესტი/პრაქტიკული დავალება (პროგრამის შედეგის/შედეგების შესაბამისად);

11.11 შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. პროგრამის განმახორციელებელი პირი/შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის, მსმენელის საქმიანობის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ან სხვა საშუალებებით) და შეფასების შემდეგ შეფასების მტკიცებულება გადასცეს სასწავლო პროცესის მენეჯერს;

11.12 მტკიცებულებები დაწესებულებაში უნდა ინახებოდეს პროფესიული მსმენელებისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან სამი წლის განმავლობაში.

11.13 მტკიცებულებების განადგურება ხდება დაწესებულებაში დადგენილი წესის მიხედვით.

11.14 მსმენელებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და პროგრამის გაცნობა წარმოადგენს პროგრამის განმახორციელებელი პირის პასუხისმგებლობას.

მუხლი 12 შეფასების სისტემა და შეფასების ინსტრუმენტი

12.1 შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამებში შესაბამის შედეგთან მიმართებაში;

12.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.

12.3 შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების

გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით;

12.4 შეფასების სისტემა სანდოა თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით;

12.5 შეფასების სისტემა გამჭვირვალეა თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის;

12.6 შეფასების სისტემა სამართლიანია თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის საშუალებას აძლევს შესაფასებელ პირს დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული;

12.7 შეფასების სისტემა ობიექტურია თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.

12.8 შეფასების ინსტრუმენტები შეფასების პროცესში გამოყენებამდე გადიან ვალიდაციას. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმება /ვალიდაციას ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რომელიც უფლებამოსილია ამ პროცესში ჩართოს დარგის სპეციალისტი;

12.9 შეფასების პროცესამდე მინიმუმ 10 სამუშაო დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს უგზავნის/წარუდგენს შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის პროექტს;

12.10 სასწავლო პროცესის მენეჯერი დარგის სპეციალისტთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკურ და შინაარსობრივ მხარეს შეფასების ინსტრუმენტის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

12.11 ხარვეზების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი 2 დღის ვადაში რეკომენდაციებით/შენიშვნებით/მითითებებით უბრუნდება პროფესიული განათლების მასწავლებელს, რომელიც ვალდებულია ორი სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს შესწორებული სახით;

12.12 სასწავლო პროცესის მენეჯერი ხელახლა ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტს და საჭიროების შემთხვევაში რთავს დარგის წარმომადგენელს/პროგრამის ხელმძღვანელს;

12.13 შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტი ვალიდაციის შემთხვევაში გამოიყენება მსმენელთა შეფასების მიზნებისათვის;

12.14 შეფასების ინსტრუმენტი მოიცავს:

12.14.1 პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;

12.14.2 პროგრამის განმახორციელებელი პირის სახელი, გვარი;

12.14.3 მსმენელის სახელი და გვარი;

- 12.14.4 შეფასების ჩატარების ადგილი;
- 12.14.5 შეფასების ჩატარების თარიღი;
- 12.14.6 სწავლის შედეგებს;
- 12.14.7 შესრულების კრიტერიუმებს;
- 12.14.8 შეფასების მიმართულებას;
- 12.14.9 შეფასების ინსტრუმენტის დასახელებას;
- 12.14.10 შეფასების პროცესის აღწერას;
- 12.14.11 შეფასების მტკიცებულებას;
- 12.14.12 შეფასების სქემას;
- 12.14.13 დამატებით პირობებს;
- 12.14.14 განმეორებითი შეფასების პროცედურას;
- 12.14.15 შეფასებისთვის განკუთვნილ დროს;
- 12.14.16 რეკომენდაციები შრომის, ჯანმრთელობის და გარემოს დაცვის შესახებ

მუხლი 13 შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია

13.1 ვერიფიკაცია არის აკადემიაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი (პროფესიული განათლების მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგი ექსპერტი და სხვა) ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში.

13.2 აკადემიის დირექტორი ბრძანებით ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს. ჯგუფის ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

13.2. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება :

13.3.1 შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

13.3.2 შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

13.3.3 შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია;

13.4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ადგენს სასწავლო წლის განმავლობაში ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც შეიძლება გაიწეროს აკადემიის ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში ან/და ხარისხის მენეჯერის სამოქმედო გეგმაში;

13.5 სასწავლო პროცესის მენეჯერი - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას პროგრამის ხელმძღვანელთან/ დარგის მასწავლებელთან ერთად; უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას; ჩართულია საჭიროების შემთხვევაში გაცემული რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენაში და ახდენს შესრულებული რეკომენდაციების შესახებ ანგარიშის წარდგენას;

13.6 ვერიფიკაცია ხორციელდება ყოველი პროგრამისთვის. შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა მსმენლის მტკიცებულება, თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ პროგრამის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს.

მუხლი 14 შეფასების პროცესის ადმინისტრირება

14.1 შეფასების პროცესის განხორციელებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე სასწავლო პროცესის მენეჯერი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელი მსმენელებს აცნობს შეფასების პროცესის განხორციელების წესებს და რეგულაციებს;

14.2 შეფასების პროცესის დაწყების წინ მსმენელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ უტარდებათ შეფასების პროცესის დროს ქვევის წესების შესახებ ინსტრუქტაჟი. ინსტრუქტაჟის მოსმენის შემდეგ ყველა მსმენელისთვის ერთდროულად დაიწყება შეფასების დროის ათვლა.

14.3 შეფასების პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, მსმენელი ვალდებულია შეფასების პროცესზე გამოცხადდეს შეფასების დაწყების განსაზღვრულ დროს ;

14.4 შეფასების მსვლელობისას პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება: ა) მობილური ტელეფონის, ან სხვა ელექტრონული აპარატურის გამოყენება(გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს შეფასების წესით არის დაშვებული);

ბ) შეფასების პროცესის დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვ. გამოყენება(გარდა იმ შემთხვევებისა თუ ეს შეფასების წესით არის დაშვებული);

გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა მსმენელისთვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;

14.5 ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში მსმენელს მიეცემა გაფრთხილება, ხოლო დარღვევის განმეორებისას მას განათავსებენ დანარჩენი მსმენელებისაგან განცალკევებით, ამ დებულებით გათვალისწინებული შეფასების პროცესის პირობების დაცვით ან მას დაატოვებინებენ შეფასების სივრცეს. გაფრთხილების გარეშე მსმენელის შეფასებიდან მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ უხეში დარღვევის შემთხვევაში. ამ შემთხვევებში მსმენელის მიერ საშეფასებო სივრცის დატოვება ფორმდება ოქმით, აკადემიის დირექტორის ინდივიდუალური აქტით.

14.6 შეფასების დროის ამოწურვამდე მიცემული დავალების(ტესტი, პრაქტიკული დავალება) შესრულების შემთხვევაში, მსმენელს უფლება აქვს, დატოვოს შეფასების ადგილი;

14.7 შეფასების პროცესის ჩატარებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში პროფესიული განათლების მასწავლებელი შევსებულ უწყისს წარუდგენს სასწავლო პროცესის მენეჯერს;

მუხლი 15 შეფასების უწყისი

15.1 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების მსმენელების სწავლის შედეგების დადასტურება აისახება შეფასების უწყისში. უწყისი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) უწყისის გახსნის თარიღი;

ბ) უწყისის დახურვის თარიღი;

გ) პროგრამის სახელწოდება;

დ) მსმენელის სახელი და გვარი;

ე) სწავლის შედეგები რომლებიც დადასტურდა მსმენლის მიერ და სწავლის შედეგები რომელიც არ/ვერ დადასტურდა მსმენელის მიერ;

4.2 თითოეული პროგრამისთვის შექმნილი შეფასების უწყისი ხელმოწერილია შემფასებელი პირის მიერ და ინახება უვადოდ.

მუხლი 16 მსმენელის უფლება-მოვალეობები

16.1 აკადემიაში მსმენელის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, მსმენელებთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ამ წესით და აკადემის დირექტორის ინდივიდუალურ -ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტებით.

16.2 მსმენლის უფლება-მოვალეობები უნდა იყოს გაცნობილი მსმენელებისათვის რაც უნდა დასტურდებოდეს ხელშეკრულების გაფორმების დროს მსმენელებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ჩანაწერით.

16.3 მსმენელს უფლება აქვს:

ა) უზრუნველყოფილ იქნას სწავლების მაღალი ხარისხით. სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფარგლებში მიიღოს ისეთი განათლება, რომელიც პროგრამის დასრულების შემდეგ კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე;

ბ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და უსაფრთხო სამუშაო გარემოთი;

გ) უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის მართებულად წარმართვისათვის აუცილებელი სასწავლო მასალით;

დ) გამოიყენოს აკადემიის ბიბლიოთეკის რესურსები სასწავლო მიზნებისათვის;

ე) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მასში;

ვ) სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით მსმენელი უფლებამოსილია შესაბამისი თანამდებობის პირებისაგან მიიღოს მხარდაჭერა მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით;

ზ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

თ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

ი) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს აკადემიის დირექტორთან აკადემიაში დასაქმებულის ან/და სხვა მსმენლის არამართლზომიერი ქმედება;

კ) /მსმენელს/აკლიკანტს უფლება აქვს მოითხოვოს პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით მოქმედი კანონმდებლობით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზება, მათ შორის უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე უარი განაცხადოს მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება

ლ) დადგენილი წესით მიიღოს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

16.4 მსმენელს უფლება აქვს აკადემიის არამართლზომიერი ქმედება გაასაჩივროს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

16.5 მსმენელი ვალდებულია:

ა) არ დაიგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი, ასევე, არ დატოვოს აუდიტორია/პრაქტიკის ობიექტი მეცადინეობის მიმდინარეობის დროს (გარდა განსაკუთრებული საჭიროებებისა, სათანადო ნებართვით);

ბ) ობიექტური მიზეზების არსებობის შემთხვევაში მოახდინოს ადმინისტრაციის ინფორმირება მეცადინეობების გაცდენის თაობაზე;

გ) არ დაანაგვიანოს სასწავლებელის/პრაქტიკის ობიექტის შენობა და ტერიტორია, დაიცვას უსაფრთხოების წესები;

დ) გაუფთხილდეს და დაიცვას აკადემიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები; მატერიალური ქონება გამოიყენოს კეთილსინდისიერად, აანაზღაუროს მის მიერ კოლეჯისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანი;

ე) გაუფრთხილდეს აკადემიის სასწავლო რესურსს;

ვ) არ ისარგებლოს საკომუნიკაციო საშუალებებით, რაც გამოიწვევს სასწავლო პროცესის შეფერხებას;

ზ) პატივი სცეს სხვა მსმენელების და აკადემიის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

თ) ტელეფონის ნომრის გამოცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს აკადემიის ადმინისტრაციას;

ი) დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს და აკადემიის დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს, რომელიც არ არღვევს მათ უფლებებს.

16.6 მსმენელს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით უნებართვოდ აკრძალული ნივთიერების აკადემიის ტერიტორიაზე შეტანა და რაიმე ფორმით გამოყენება;

ბ) ალკოჰოლური თრობისას ან რომელიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისას კოლეჯის/პრაქტიკის ობიექტის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ) აკადემიის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, რომელიც არ არის შეთანხმებული აკადემიის ადმინისტრაციასთან;

დ) სასწავლო პროცესისადმი ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი;

ე) მეცადინეობაზე მობილური ტელეფონის ან სხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება, რომელიც არ არის გათვალისწინებული სწავლების მეთოდებით;

16.7 აუდიტორიაში/პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული მსმენელის ყოფაქცევაზე პასუხისმგებელია პროგრამის განმახორციელებელი პირი. თუ მსმენელი დაარღვევს წესრიგს ან კანონს და ამით ხელს შეუშლის მეცადინეობის მსვლელობას, პროგრამის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია მოთხოვოს მას აუდიტორიის დატოვება და მსმენელის პასუხისმგებლობის საკითხს მაშინვე აყენებს ადმინისტრაციის წინაშე.

16.8. მსმენელის მიერ აკადემიისთვის მიყენებული ზიანის გამო ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მსმენელს (არასრულწლოვანის, ქმედუუნარო/შეზღუდულ ქმედუუნარიანის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს).

16.9 მსმენელის მიერ ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევა განიხილება დისციპლინარულ გადაცდომად და აკადემია უფლებამოსილია დამრღვევ პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს მოსთხოვოს ახსნა–განმარტების მიცემა მის მიმართ და ჩადენილი დარღვევის ხარისხის გათვალისწინებით გამოიყენოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ერთ–ერთი შემდეგი ფორმა:

ა) გაფრთხილება;

ბ) შენიშვნა;

გ) საყვედური;

დ) მსმენლის სტატუსის შეწყვეტა

მუხლი 17. პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა

